საიას მიმართვა საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების მიმართ საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განაგრძობს დაკვირვებას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურზე.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

პირველ ტურსა და განმეორებით არჩევნებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების და პრობლემების საფუძველზე, საია რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის სუბიექტებს და მოუწოდებს, მიიღონ ყველა გონივრული და შესაბამისი ზომა, რათა ხელი შეუწყონ არჩევნების მეორე ტურის უფრო მაღალი ხარისხით და უკეთეს გარემოში ჩატარებას.

კერძოდ, მივმართავთ:

საარჩევნო ადმინისტრაციას:

- იმოქმედონ კანონით დადგენილი წესების და პროცედურების განუხრელი დაცვით, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ამომრჩევლის მიერ ნების თავისუფალი გამოხატვა;

- უზრუნველყონ უსაფრთხო და სათანადო სამუშაო პირობები დამკვირვებელთათვის;

- საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით დაწერილ საჩივრების განხილვის დროს უზრუნველყონ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება კანონის მოთხოვნების დაცვით; მათ შორის, საჩივარში ასახული დარღვევების დეტალური შესწავლა, მტკიცებულებათა ჯეროვანი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება; დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომების გამოყენება; ზემდგომმა ადმინისტრაციებმა პროაქტიულად შეისწავლონ ინფორმაცია დაფიქსირებული დარღვევების შესახებ და მიიღონ შესაბამისი ზომები;

- ცესკომ უზრუნველყოს უბნებიდან შემოსული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლების ცესკოს ვებ გვერდზე დაუყოვნებლივი განთავსება, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და კანონის მოთხოვნათა დაცვით, უზრუნველყოს მშვიდობიანი საარჩევნო გარემო, დაიცვას საარჩევნო პროცესი და მასში მონაწილე სუბიექტები ძალადობის და უკანონო მოქმედებებისაგან.

საარჩევნო სუბიექტებს:

- განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ ქმედებებს კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში, თავი შეიკავონ დაპირისპირებებისა და ძალადობისაგან, ასევე ისეთი განცხადებებისგან, რომელიც წაახალისებს ან შეიწყნარებს ამგვარ ინციდენტებს.

- თავი შეიკანონ იმ მანკიერი პრაქტიკის გაგრძელებისგან, რომელიც უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიის აქტივისტებისა და კოორდინატორების მობილიზებაში გამოიხატება, რაც რიგ შემთხვევებში წარმოადგენს ამომრჩევლის ნებაზე ირიბი ზეგავლენის მოხდენას.

სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციებს:

- უზრუნველყონ თავიანთი წარმომადგენლების კანონშესაბამისი და ეთიკური ქცევა საარჩევნო პროცესზე დაკვირვების დროს, იმოქმედონ კანონით მათთვის დადგენილი მანდატის ფარგლებში.

სასამართლო ხელისუფლებას:

საარჩევნო დავების განხილვის დროს უზრუნველყონ კანონის მართებული განმარტება და გამოყენება, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები და უზრუნველყონ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელება.